სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

03291536422412

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N120352159

რეგისტრაციის თარიღი

04.04.2012 წ

ნოტარიუსი: მაია ბრეგვაძე
მისამართი: ქ.თბილისი, ბაზალეთის ქ1
ტელეფონი: 2 29-40-92

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ნ ო ტ ა რ ო აქტი

საქართველო

ორიათასთორმეტი წლის ოთხ აპრილს მე, მაია ბრეგვაძეს, ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ბაზალეთის ქ. №1, მომმართა ***შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „M-სპრინთის“-ს (რომელიც რეგისტრირებულია 12.02.2009 წ/კოდით 202456920) დირექტორმა ლევან არჩვაძემ*** *(დაბ.01.08.1958 თბილისი, მკვ. ქ.თბილისი ზფალიაშვილის ქუჩა 24, პირადი №01008003259)* *მან მოითხოვა წინამდებარე მინდობილობის შედგენა და მასზე მისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა, ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ მე მოვამზადე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე მას და განვუმარტე მისი შინაარსი, აგრეთვე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები; მან განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:*

მინდობილობა

მე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „M-სპრინთის“-ს დირექტორი ლევან არჩვაძე *ამ მინდობილობით სრულ უფლებამოსილებას ვანიჭებ* ***თამარ ჯაფარიძეს (დაბ.15.10.1982 თბილისი, მკვ. ქ.თბილისი ზფანასკერტელის ქუჩა კორპუსი 19, ბინა 29, პირადი №01026010315)*** *ჩემი სახელით შეიტანოს განცხადება ქ.თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურშის პროექტის დასამტკიცებლად ასევე ჩააბაროს ზემოთ აღნიშნული სამსახურიდან ჩემს მაგივრად ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია, ჩააბაროს და ხელი მოაწეროს განცხადებებს, ასევე ხელი მოწეროს სხვა ნებისმიერ დოკუმენტაციას, ჩააბაროს პროექტები ჩემს მაგივრად და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია მოცემულ დავალების შესასრულებლად.* ***თამარ ჯაფარიძე*** *უფლებამოსილია მინდობილობის მოქმედების პერიოდში იყოს ჩემი სრულუფლებიანი წარმომადგენელი ქალაქ თბილისის მერიის სამსახურში. მინდობილობა გაცემულია სამი თვის ვადით.*
გადახდილია ნოტარიუსის საზღაური 10 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ დადგენილების (საფუძველი: 29.12.2011 წლის საქართველოს მთავრობის დადგენილება №507) 31-ე მუხლის მე-7 პუნქტისა, დღგ 1,80 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლით. 2.00 ლარი – რეგისტრაციის საფასური 39-ე მუხლის I-ლი პუნქტისა, სულ გადახდილია: 13,80 ლარი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „M-სპრინთის“-ს დირექტორი ლევან არჩვაძე

ნოტარიუსი *მაია ბრეგვაძე*

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას თორმეტი წლის თხუთმეტ მაისს მე, ნოტარიუსს ქეთევან ძლიერიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: საქართველი, ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. 6, მომმართა **მელანია კოვზირიძემ**. მან გამოხატა ნება წინამდებარე თანხმობის შედგენისა და მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმების. მე დავადგინე მისი პირადობა და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **მელანია კოვზირიძემ** (დაბადებული 27.10.1975წ. თბილისში, პირადობის მოწმობა №ბ 1411372, პირადი № 01024029672, გაც. 20.01.2011წ. სრს საბურთალოს სამს. მიერ მცხ. ქ. თბილისი, **საბურთალოს ქ. №41, ბინა 60**) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. მე შევამოწმე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. შემდეგ შევადგინე თანხმობა, რომელიც წავუკითხე მას და განვუმარტე წინამდებარე თანხმობის შინაარსი, მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან განაცხადა, რომ თანხმობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე თანხმობას.

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

„მე, **მელანია კოვზირიძე** (პირადი № 01024029672), თანახმა ვარ, არქიტექტორმა **თამარ ხვედელიძემ** (დაბადებული 15.10.1982წ. თბილისში, მცხოვრები, ქ. თბილისი, ზ. ფანასკერტელის ქ. კორპ. 19, ბინა 29, პირადობის მოწმობა №ბ 1381818, პირადი № 01026010315 გაც. 02.07.2010წ. სრს საბურთალოს სამს. მიერ) **მოახდინოს** ჩემს მიერ შედგენილი უძრავი ქონების (**სასაწყობე და ადმინისტრაციული დანიშნულების შენობის**) პროექტის კორექტირება თავისი შეხედულებისამებრ, რომელიც მდებარეობს შემდეგ მისამართზე: **ქალაქ თბილისი, ლუბლიანას ქ. №22-ში.**

თანხმობა ჩემი სურვილითაა შედგენილი, რასაც ვადასტურებ ჩემი ხელმოწერით.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: ორი (2) ლარი თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ ოცდათექვსმეტი (36) თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, პლიუს: 2.00 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად ზემოთაღნიშნული მთავრობის დადგენილებისა 39-ე მუხლისა.

მელანია კოვზირიძე-----მელანია კოვზირიძე-----

ნოტარიუსი: ქეთევან ძლიერიშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N120498197
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	15.05.2012 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ქეთევან ძლიერიშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქალაქი თბილისი, მიცკევიჩის ქუჩა 6
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2380435
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	57734104733412

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18